საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მირცხულავა დავით ცოტნეს ძე

დ. მირცხულავა

მირცხულავა დავით ცოტნეს ძე (დ. 27. I. 1955, თბილისი), ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საიმედოობის დარგის მეცნიერი; ტექნ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1998). დაამთავრა სპი-ის (ახლანდ. სტუ) საინჟ. ფიზ. ფაკ-ტი (1976). მუშაობდა საქართვ. ენერგეტიკისა და ჰიდროტექ. ნაგებობათა სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (1977–87) სხვადასხვა თანამდებობაზე; მილანის (იტალია) პოლიტექ. ინ-ტსა და იტალიის ეროვნ. ენერგეტ. კომპანიის კვლევით ცენტრში (1988–90); საქართვ. აგრარულ უნ-ტში დოცენტისა და კათედრის გამგის თანამდებობაზე (1986–2002); იყო საქართვ. ენერგეტ. ობიექტების ტექნ. მდგომარეობის დიაგნოსტიკისა და მონიტორინგის ცენტრის დირექტორის მოადგილე, დირექტორი (1990–98); საქართვ. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე (1998–99), მინისტრი (1999–2003); საქართვ. ენერგეტ. მარეგულირებელი ეროვნ. კომისიის თავ-რე, წევრი (2003–06); პარტნიორი კომპანია Israel Power Project-ში (2010–13); კომპანია შპს „ტრანსელექტრიკა ჯორჯიას“ ტექნ. დირექტორი (2013–17); თბილ. საინვესტიციო ჯგუფის ენერგეტ. პროექტების ხელმძღვ. (2017–23). არის კომპანია „Geo Renewable LLC“-ის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (2023-იდან); საქართვ. მაღლივი კაშხლების ეროვნ. კომიტეტის თავ-რე (2017-იდან).

მ.-ს კვლევები ეძღვნება ჰიდროენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობის პრობლემებს, ენერგეტ. უსაფრთხოებას და კლიმატის ცვლილების გავლენას

ჰიდროენერგეტიკაზე.

თხზ.: საქართველოს ენერგეტიკული სტრატეგია, თბ., 2003; Методика диагностики экономической и энергетической безопасности государств. М. 2003 (თანავტ.); Effects of climate change on future energy production of Namakhvani HPP. V. 346, ICOLD &CFBR, 2022 (თანაავტ.).